572
1978/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

№9 სექტემბერი 1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაცილება

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

კაკლის ტოტზე ჩათვლემილ, ბებერ ყვანჩალას დილაადრიანად კოდალა დაადგა თავს:

— ყვავო, ყვავო, ყვანჩალა!

ძილგამფრთხალმა ყვავმა უკმაყოფილოდ დაიჩხავლა:

— რა გინდა, რატომ გამაღვიძე?

— რა დროს ძილია, ადექი, მე და შენ თეკლეს სკოლაში მივყევართ.

— ვინ არის თეკლე?—იკითხა ყვავმა.

— პატარა გოგოა, წელს პირველად მიდის სკოლაში!

— საცაა სამასი წლისა გავხდები და ჯერ არ გამიგია ფრინველები სკოლაში წასულიყვნენ, შენ რაღაცას ჩმახავ! — დაიჩხავლა ყვავმა.

— ნისკარტი გამიხმეს თუ ვტყუოდე,— დაიფიცა კოდალამ,—ახლა თეკლეს სახლიდან მოვფრინავ, ფანჯრის რაფაზე „დედაენა“ დარჩენია, შიგ ფრინველები ვართ ჩახატული. იმ წიგნით თეკლე რომ სკოლაში წაცუნცულდება, ჩვენც თან არ წაგვიყვანს?

ჩაფიქრდა ყვავი, ჩაფიქრდა და თქვა:

— სკოლისა რა მოგახსენო და „დედაენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში“ დახატულები თუ ვართ, ეგ კი რაღაც დიდი ამბავია. მოდი, სხვა ფრინველებსაც შევეხმიანოთ და ვნახოთ. აბა, ერთი, თეკლეს სახლისკენ გაგვიძეხი.

აფრინდა კოდალა და უკან ჟრიამულით მიჰყვნენ ფრინველები. შორს კი არ წასულან, თეკლეს წითელკრამიტიანი სახლი იქვე, ტყის პირას იდგა. ფანჯრის რაფაზე მართლა გადაშლილი „დედაენა“ იდო. ფრინველები გარშემო შემოუსკუპდნენ, კისრები წაიგრძელეს და ფურცლებს დააცქერდნენ.

ყვავმა თავისი თავი რომ იცნო, სიამაყით ბუმბული აიშალა და:—ყვა, ყვაო!—დაიძახა.

— აგე, სად ვხატივარო,—სიხარულით ლამის ატირდა ბულბული.

— ვენაცვალე იმას, ვინც აქ დამხატა!—დაიჭახჭახა შაშვმა.

უცებ საიდანღაც მოფრენილმა ნიავმა „დედაენის“ ფურცლები შეაშრიალა და ფრინველებმა შიშით ხმა გაკმინდეს: ფურცელზე დახატულ კატას მოკრეს თვალი, იმ ეშმაკს თავი მოემძინარებინა.

— არიქათ, თავს ვუშველოთ!—დაიწივლა გულყვითელამ და ყველამ ისევ კაკლის ხეს მიაშურა.

როდის-როდის თეკლემაც გაიღვიძა. ადგა, ხელ-პირი დაიბანა, ჩანთაში „დედაენა“ ჩადო და სკოლისაკენ წაცუნცულდა.

ყვანჩალამ უყურა, უყურა სკოლისაკენ მიმავალ თეკლეს და დაიჩხავლა:

— ლამის სამასი წლის ვხდები და ჯერ არ მსმენია ნახატი კატა ნამდვილ კატად იქცეს. რისა გვეშინია, ეგრეც რომ იყოს, თეკლე ისეთი კარგი გოგო ჩანს, ჩვენს თავს კატას არ შეაჭმევს, წამოდით, ყველამ ერთად გავაცილოთ.

იმ დილით სკოლის გარშემო ხეებს უამრავი ფრინველი შეესია.

— რა ამბავიაო,—უკვირდა სკოლის ეზოში გამოშლილ გოგო-ბიჭებს და ხის ტოტებზე ჩამომსხდარ ფრინველებს შესცქეროდნენ. მაგრამ აბა, რას მოიფიქრებდნენ, რომ ამ მზით აბრიალებულ სექტემბრის დილას პატარა თეკლე სკოლაში სწორედ ამ ფრთოსნებმა მოაცილეს.

15780

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო ბიბლიო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სექტემბერი დადგა

გივი ჭიჭინაძე

— დღეს სკოლაში მივდივართ!—
ხარობს ჩანთა-ჩანთული.
აღიღინდნენ წიგნები
რუსული და ქართული:
—შრიალ! შრიალ! შრიალა!—
თითქოს შლიან ლაღად ფრთებს.
ჭენალმა და სამელნემ
ტაშ-ფანდურა გამართეს.
ჩვენს სახაზავს შეხედეთ,
რა ტანადი ბიჭია!
საცეკვაოდ წერწეტა
კალმისტარი ირჩია.
თუმცა ლითონისაა,
უსულგულოს რა უგავს?!
წინ დაუდგა კალამს და
თავი კოსტად დაუკრა.
ასტა-დასტა საშლელი,
თითქოს ამ წუთს უცდიდა
და ფერადი ფანქრები
გამოიხმო უუთიდან:
— საცეკვაოდ, სალხენად
თავი მოვიყარეთო.
თქვენ შინ რაღას უზიხართ,
გამობრძანდით გარეთო!—
გამოცვივდნენ და-ძმანი
მოხატულნი შვიდფერად,
წრეში ჩადგნენ მაშინვე
და დასჭექეს სიმღერა:
— რა კარგია, რა კარგი!
აგვისრულდა ნატვრაო!
სექტემბერი დადგაო!
სექტემბერი დადგაო!

ნახატი ედუარდ ამგოკაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მარანი

ნინო გეზარაშვილი

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

პაპისეული მარანი გვაქვს. კედლები ძველი ქართული აგურით არის აშენებული, სიგანე ერთი მეტრი მაინც ექნება, ჭერში კარგად დათლილი მსხვილი მუხის კოჭებია გადებული. კარიც მუხისა აქვს; დიდი, დარაბისებური. გინდა ცოტათი შეაღებ და შეხვალ, გინდა—მთლიანად. ახლაც მთლიანადაა ღია. მამა იქ არის, სართვლოდ ემზადება, ქვევრს რეცხავს. მეც შევდივარ. მარანში გრილა. აქეთ-იქით ვიყურები, ყველაფერს ვათვალიერებ, თითქოს პირველად ვხედავდე იქაურობას. კედელში დატანებულ მრგვალთაღიან განჯინის ზემო თაროზე ხელადა და ჭიქა დგას. ქვემოთაზე კი სპილენძის ვედრიანია[1]) დაპირქვავებული. მარანში ბევრი ქვევრია, ზოგი დიდი, ზოგი მომცრო. მხოლოდ ორია მოხდილი. დანარჩენებს მიწა აყრია კონუსებად.

მამაჩემი დიდ ქვევრში ზის და რაც ძალი და ღონე აქვს, ხეხავს კრაზანით[2]), თან მღერის. ქვევრი ბანს აძლევს და ბუბუნით ამოდის ხმა.

[1]) ვედრიანი—ღვინის საწყაოა.

[2]) კრაზანა—ქვევრის სარეცხია. ამავე სახელის ბალახისაგან გაკეთებული.

მეორე მოხდილი ქვევრი მარნის ქვემო კუთხეშია—ქვიტკირის საწნახელთან. თუმცა ქვევრი არ ეთქმის, იმაში მოზრდილი ადამიანი ვერ ჩაჯდება, სარცხით უნდა გაირეცხოს. მამაჩემს უკვე ჩაუსხამს წყალი. შიგ ვიყურები და ძირს, სადღაც მრგვალად მოლაპლაპე წყალში ჩემს თავს ვხედავ.

უცბად მომინდა მეც გამეკეთებინა რამე. კუთხეში მიხროვილ გოგრებიდან და ხაჩაკლებიდან ძლივს გამოვაძრე ბლის ქერქის სარცხი, მაგრამ სწორედ ამ დროს მოულოდნელად მამაჩემმა ჯერ გაწუწული თავი ამოყო, მერე იდაყვებით ქვევრის პირს დაებჯინა და მთლიანად ამოვიდა, თან ცალი ხელით კრაზანა ამოიყოლა, რომელიც მოიქნია და გაბრაზებულმა მარნის კედელს სთხლიშა.

— რა დროს შემიშალა ხელი ამ ვერანამ! ახლა სადღა ვიშოვი, ყველას თვითონ სჭირდება. რა მომივიდა, კაცო, მეურნეობაში მოვცდი და აქაც ვერაფერს ვერ ვაკეთებ. მომეცი, ლევან, ეგ სარცხი, ქოცოს მაინც ამოვრეცხავ!—მამაჩემმა სარცხი გამომართვა და ახლა ქოცოს დაუწყო რეცხვა.

აჩქარებით რეცხავს მამა, მალ-მალე გადააქვს სარცხის ტარი ერთი ხელიდან მეორე-

ში, ხან აქეთ, ხან—იქით, ხან—აქეთ, ხან—იქით. მე კი იქვე მიგდებულ კრაზანას დავყურებ. კრაზანას სამაგრი გასწყვეტია და მთლად მოფულუხებულა. დავყურებ და თან გულში ვამბობ:

— ამის გაკეთება ძნელი არ უნდა იყოს, თითქოს ქართულ ი-სა ჰგავს, მაგრამ არა, მარტო ი-ს არა ჰგავს, კიდევ სხვა რაღაცას მაგონებს. ნეტავ რა უნდა იყოს? ვფიქრობ, თუმცა ამდენი ფიქრი რად უნდა, მშვილდსა ჰგავს, ერთი ისარი აკლია, თორემ ზედ გამოჭრილი მშვილდია. ამასაც შუაში ლარივით აქვს გაბმული წნელი.

მარნიდან გამოვდივარ, პატარა წალდს ვიღებ და ხევისკენ მივეშურები, იქ კრაზანები მეგულება. ვიცი ის ბალახი, ძირზე წვრილ-წვრილი ფოთლები ასდევს. მაღლა წვეროზე კი გაფურჩქნულ რტოებში ყვითელი ყვავილები ეშლება, გეგონება ცოცხალი კრაზანები ჩამსხდარანო. ალბათ იმ ბალახს კრაზანას იმიტომ ეძახიან.

უკვე ჩავედი ხევში. ნაპირებისკენ ვაცეცებ თვალს, კრაზანებს ვათვალიერებ, მაგრამ არ მომწონს. წვნიკებია, ეგეთები არ გამოდგება. იქნებ ზემოთ უფრო იყოს? მივდივარ. მართლაც, ზემოთ ფერდაზე მაღალ-მაღალი კრაზანები გამოჩნდა. ძირფესვიანად დავგლიჯე, ერთი ამოიღლიავება გამოვიტანე და ხევის პირას მწვანეზე დავყარე. მერე ბარდიდან გრძელი, ნორჩი სვია ჩამოვწყვიტე, თხილს წნელები შევაჭერ და ისინიც გვერდზე მივუწყე.

ახლა ვზივარ, კრაზანებს წალდით ფესვებს ვუთლი ცერად. რა მაგარია, როგორც ქვა და რკინა ისეთია, ძლივს ითლება, მაინც არ ვეშვები, ვთლი და სიგრძეზე ვაწყობ ისე, რომ ფესვები ბოლოებში მოხვდეს. აი, უკვე სვიას ვახვევ, არც ეს არის ადვილი. ბალახის ღეროები აქეთ-იქით იფანტება. ხან მუხლი დავადგი კრაზანებს, ხან—იდაყვი და როგორც იქნა, დავახვიე სვია. მაგრამ ჯერ სად არის, ფორმა ახლა უნდა მიეცეს, სიგრძეზე დაწყობილ კრაზანებს ნელ-ნელა მშვილდისებურად ვხრი და შუაში დაგრეხილ თხილის წნელს ვაბამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრაზანაა, ნამდვილი კრაზანა! მშვილდსა ჰგავს, ფესვებიც მგონი კარგადაა ბოლოებში ჩატანებული. თავი და თავი ხომ ეს არის, ამით უნდა გაიხეხოს ქვევრი.

კრაზანა მხარზე გადავიკიდე, წალდი ავიღე და სახლისკენ წავედი. მამაჩემს უკვე ამოურეცხია ქოცო. ახლა წყალს იღებს პატარა გოგრის ხაპით და ეზოში ღვრის. წყალს წითელი ღვინის ფერი დაჰკრავს, ოდნავ მომჟაო სუნი აქვს.

კრაზანა ზურგს უკან დავმალე, მარანში ისე შევედი.

— სად იყავი, ლევან, გეძახოდი, ცოტა დახმარება მინდოდა,—მისაყვედურა მამაჩემმა.

— ზევით ვიყავი, ფერდაზე.

— ფერდაზე რა გინდოდა?

— კრაზანა გავაკეთე.

— კრაზანა? შენ რა კრაზანის გამკეთებელი ხარ?

— გავაკეთე კი და...

— აბა, მაჩვენე!

ვაჩვენე. მამაჩემმა კარგად შეათვალიერა, კვანძები სათითაოდ გაუსინჯა, მაგრად არის თუ არაო, სადღაც რაღაცეებიც გაუსწორა, მერე მე შემომხედა, თვალები უბრწყინავდა, ეტყობოდა, მოსწონდა კრაზანა, მაგრამ მაინც დაეჭვებით თქვა:

— მე მგონი არა უშავს რა, შეიძლება გამოდგეს, ვნახოთ, ხელს როგორ გამოჰყვება,—იმ წუთას ქოცოს თავი გაანება და ისევ დიდ ქვევრში ჩახტა.

ახმაურდა კრაზანა, აშხაპუნდა წყალი.

შხაპ, შხუპ, შხაპ, შხუპ, შხრრ...

მამაჩემი რეცხავს ქვევრს, თან მღერის, მე კი მარნის კარის ძირზე ვზივარ და გული მიჩოჩქოლებს:—ნეტავ ივარგა კრაზანამ, რატომ არაფერს ამბობს მამა? თუმცა, რაღა უნდა თქვას, ხმაზე არ ეტყობა რომ კმაყოფილია! კარგად რეცხავს კრაზანა, კარგად!

ვუსმენ ქვევრიდან ამოსულ სიმღერას, ვუსმენ და არ ვიცი მართლა ასეა თუ მე მეჩვენება, მამა ახლა თითქოს ძალიან კარგად მღერის, ქვევრიც უფრო დიდ ბანს აძლევს და ჩვენი ძველი პაპისეული მარანიც მხიარულად გუგუნებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლისაკენ

კ. გოგიაშვილი

მ ა ი ა

— საით გაგიტყუილა
ამ მზიანმა ამინდმა?

ც უ გ რ ი ა

— ჩვენი თაკო სკოლაში
დღეს პირველად წავიდა.

მ ზ ი ა

— კოხტად გამოწყობილი
მიდიოდა სიცილით...

ც უ გ რ ი ა

ჰოდა, მეც გავაცილე
კუდის ქიცინ-ქიცინით.

მ ა ი ა

— ნეტავ მეც ვყოფილიყავ,
მეც მინდოდა მენახა,
თაკოს ამხანაგები
განა მარტო თქვენა ხართ!

ც უ გ რ ი ა

— ბევრი, ბევრი გეძებეთ,
ვერ გიპოვეთ, ბოდიში...

მ ზ ი ა

— ალბათ ტკბილად გეძინა
ჩემო კარგო ლოგინში.

ც უ გ რ ი ა

— გავაცილეთ... რა იყო...

მ ზ ი ა

— გული დაგწყდა მაიკო?!

მ ა ი ა

— გული დამწყდა, აბა, რა,
სად მიდიხართ? დაიცათ!..

მ ზ ი ა

— სიტყვას გაძლევთ, სკოლაში
შენც გაგყვებით გაისად
— სიმღერით და სიცილით...

ც უ გ რ ი ა

— მე კი კუდის ქიცინით...

ნახატი **ირინე ტოროტაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

მაღვიძარა

ტარიელ ხავთასი

— მუდამ როგორ იგვიანებ,
დაირეკა უკვე ზარი;
სანამ გინდა ასე გვიან
შემოაღო სკოლის კარი?!
ძილისგუდავ, რჩევას მოგცემ,
გამოგადგეს, ბიჭო, ვინძლო:
ღამით ჩართე მაღვიძარა,
დილით ადრე გაგაღვიძოს.
— არაფერი არ გამოდის,
რა არ ვცადე, ჩემო ეკა;
მაღვიძარას კი ვრთავ, მაგრამ
როცა მძინავს, მაშინ რეკავს!

ცეკვა

ნუნუ ლაღიძე

— გარმონს გასწი გიორგი,
ლადო, მაგ დოლს დაჰკარი!—
ცერულს ცეკვავს ზურიკო,
ბუქნასა სცემს ბაქარი.
ერეკ კახამ-კახუნამ
შეისწორა ქამარი,
წრეში მარჯვედ გადასტა,
გაიუოლა თამარი.
—ტაში, ტაში!—ცეკვავენ
თამარი და კახაო,
— ცანგალა და გოგონა!—
ლადომ შეძოსძახაო.



დათვალა, ნახა, რომ ერთი აკლდა. [illegible] რა მამას.

სადილობის დროს მამამ იკითხა:

— ბავშვებო, ერთი ქლიავი რომელიმე თქვენგანს ხომ არ შეუჭამია?

ეველამ იუარა; არა, არ გვიჭამიაო.

ვანია კიბორჩხალასავით გაწითლდა, მაგრამ სხვებივით უპასუხა, არა, არ მიჭამიაო.

მაშინ მამამ თქვა:

— ცუდი საქციელია თუ რომელიმე თქვენგანმა შეჭამა, მაგრამ უბედურება სხვა რამეა; ქლიავს აქვს კურკა, თუ ვინმეს ის კურკა გადაულაპა, აღარაფერი ეშველება, ხვალ მოკვდება და ამისი მეშინია.

ვანია გაფითრდა და თქვა:

— არა, კურკა ფანჯრიდან გადავაგდე.

ეველას გაეცინა, ვანია კი ატირდა.

წელს—სექტემბერში მთელს მსოფლიოში საზეიმოდ აღინიშნება უკვდავი რუსი მწერლის—ლევ ტოლსტოის დაბადებიდან 150 წლისთავი.

ვზეიმობთ დიდი მწერლის ერთ მოთხრობას.

ლევ ტოლსტოი

კურკა

ნამდვილი ამბავი

დედამ ქლიავი იყიდა და უნდოდა შვილებისათვის ნასადილევს ეჭმია. ქლიავი ჯერ ისევ თეფშზე ეყარა. ვანიას ქლიავი არასოდეს ეჭამა და სუნავდა და სუნავდა. ბევრი უარა ირგვლივ. როცა ოთახში არავინ იყო, ვერ მოითმინა, ერთი ცალი აიღო და შეჭამა. სადილის წინ დედამ ქლიავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალუაჩემის ნაამბობი იმაზე თუ როგორ ისწავლა კერვა

ექვსი წლისა რომ ვიყავი, დედას ვთხოვე — რამე საკერავი მომეცი-მეთქი. დედამ მითხრა: — ჯერ პატარა ხარ, თითებს თუ დაიჩხვლეტ, თორემ შეკერვით ვერაფერს შეკერავო. — მე მაინც არ მოვეშვი.

მაშინ სკივრიდან წითელი ნაჭერი ამოიღო და მომცა. მერე ნემსზე წითელი ძაფი ააგო და მაჩვენა, ხელში როგორ უნდა მჭეროდა.

დავიწყე კერვა, მაგრამ სწორად ვერ ვაგვირისტებდი. ერთი გვირისტი დიდი გამომდიოდა, მეორე — სულ ნაპირზე მიხვდებოდა და იხეოდა. მერე თითი დავიჩხვლიტე. ძალიან მინდოდა არ მეტირა, მაგრამ დედამ რომ მკითხა, რა დაგემართაო, ვეღარ მოვითმინე და ავტირდი. დედამ ნემსი და ძაფი გამომართვა და სათამაშოდ გამიშვა.

დასაძინებლად რომ დავწექი, თვალწინ გვირისტები მედგა. სულ იმას ვფიქრობდი, ჩქარა როგორ ვისწავლო კერვა-მეთქი, მაგრამ ეს იმდენად ძნელ საქმედ მეჩვენებოდა, არ მეგონა, ოდესმე თუ შევძლებდი.

მას მერე დიდი დრო გავიდა და დღეს აღარც მახსოვს, როგორ ვისწავლე კერვა. ჰოდა, როცა ახლა ჩემს გოგონას ვასწავლი, მიკვირს — ნემსს წესიერად რომ ვერ იჭერს ხელში.

თარგმნა ჯუმბერ თითმერია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომბლე

ქართული ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე. კომბლეს იმიტომ ეძახდნენ, რომ სულ კომბლებსა თლიდა და ჭერში აწყობდა.

კომბლეს ორი ცხვარი ჰყავდა. ეს ცხვრები დილით თავისით წავიდოდნენ საბალახოდ და საღამოს თვითონ ბრუნდებოდნენ შინ.

ერთ დღეს ცხვრები საბალახოდ რომ წავიდნენ, შემოხვდათ მელია:

— ცხვრებო, ვისი ხართ?

— კომბლესი.

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობს.

— უჰ, მეშინია თქვენი კომბლესიო!— თქვა მელიამ და გაიქცა.

იარეს ცხვრებმა, იარეს და შემოხვდათ დათვი:

— ცხვრებო, ვისი ხართ?

— კომბლესი.

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობს.

— უჰ, მეშინია თქვენი კომბლესიო!— თქვა დათვმა და გაიქცა.

ცხვრებმა იარეს, იარეს და შემოხვდათ მგელი:

— ცხვრებო, ვისი ხართ?

— კომბლესი.

— კომბლე რა კაცია?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობს,—მიუგეს ცხვრებმა.

— მე თქვენი კომბლესი არ მეშინიაო!— თქვა მგელმა და ორივე გადაულაპა.

საღამო ხანზე კომბლემ თავის ცხვრებს უცადა, უცადა და შინ რომ აღარ დაბრუნდნენ, იფიქრა, უთუოდ რამე არის იმათ

ნახატები **ალექსანდრე მრევლიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავს, თორემ აქამდე გარეთ არ დარჩებოდნენ; წავიდე, მოვნახო, ხომ არაფერმა შეჭამაო. ჩამოიღო ჯერიდან ერთი დიდი კომბალი, გაიდო მხარზე და გასწია ცხვრების საძებნელად.

იარა კომბლემ, იარა და მემოხვდა მელია.

— მელიავ, ჩემი ცხვრები არ გინახავს?— ჰკითხა კომბლემ.

— არა, ჩემმა მზემ!

— აბა, კბილები დაკრიჭე!

დაკრიჭა მელიამ კბილები და ჩიჩია არა ჰქონდა.

კომბლემ გაანება მელიას თავი და გასწია ისევ ცხვრების საძებნელად.

იარა, იარა და შემოხვდა დათვი.

— დათვო, ჩემი ცხვრები არ გინახავს?— ჰკითხა კომბლემ.

— არა, ჩემმა მზემ!

— აბა, კბილები დაკრიჭე!

დათვმა კბილები დაკრიჭა და ჩიჩია არა ჰქონდა.

კომბლემ გაანება დათვსაც თავი და გასწია ისევ ცხვრების საძებნელად.

იარა კომბლემ, იარა და ბოლოს შემოხვდა მგელი. ნახა, რომ მგელს მუცელი გაბერილი ჰქონდა.

— მგელო, ჩემი ცხვრები არ გინახავს?— ჰკითხა კომბლემ.

— არა, ჩემმა მზემ!

— აბა, კბილები დაკრიჭე!

დაკრიჭა მგელმა კბილები და ჩიჩია კი ჰქონდა.

კომბლემ სდრუზა და სდრუზა მგელს კომბალი, სდრუზა და სდრუზა და სული გააფრთხობინა! მერე გაუჭრა მუცელი, გამოიყვანა თავისი ცხვრები და მშვიდობით გაუდგნენ გზას შინისაკენ.

ახლაც თავისით დადიან კომბლეს ცხვრები საბალასოდ და ვაი მისი ბრალი, ვინც მათ ხელს ახლებს.

დაამუშავა **მაყვალა მრევლიშვილმა**

რატომ არის ღამურა შიშველი

გიორგი ფეთეკაური

ფრინველთ მეფე არწივმა
გასცა ერთხელ ბრძანება:
— აბა, აბა, სამ დღეში
ყველა დაუზარელად
ახალ მოდის სამოსზე
გადავიდეს საჩქაროდ.
ვინც ამ ვადას გადასცდეს,
საგანგებო სამსჯავროს
გადაეცეს უმაღვე,
დაისაჯოს საჯაროდ,
დაისაჯოს სასტიკად,
არვინ დამენანება.
ვიმეორებთ, სამ დღეში
შეასრულეთ ბრძანება!
ფარშევანგთან მიბრძანდით,
ქსოვილები იქ არის,
რა ფერისა იქნება
ან რა სიგრძე-სიგანის,
სქელი, თხელი, როგორიც
თქვენ გენებოთ—ირჩიეთ,
ჩაცმულობით სუყველამ
თავი გამოიჩინეთ!
ქსოვილებს რომ აირჩევთ,—
იქ მერცხალი იქნება,
გამოგიჭრით სასწრაფოდ,
ვის რა ზომა სჭირდება.
შემდეგ, დაუყოვნებლივ,
კოდალასთან მიბრძანდით,
სულ თქვენს სამსახურშია
მისი გრძელი ნისკარტი.
შეგიკერავთ ღამაზად,
არ დარჩებით ნაწყენი,
ობობასგან ვიყიდეთ
ძაფი აურაცხელი.
გაუდექით გზას მალე,
ნულარ დაიგვიანებთ!—
...და ფრთოსნებმა რიგ-რიგად
ცაში გაიფრთხიალეს.
თვითეულმა სამ დღეში
ტანსაცმელი ახალი

ნახატი **გრიგოლ გაფრინდაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიკერა, სუყველა
ახალ სამოსს დაჰხარის
მაგრამ აი ღამურა,
რომელს დაენანება?
ფულუროში ეძინა,
თუმც გაიგო ბრძანება,
მეხუთე დღეს წამოხტა,
როცა გამოელვიძა,
ფარშევანგთან მივიდა,
ქსოვიდს ველარ ელირსა.
არწივს შეატყობინეს,
მან კი გასცა ბრძანება:
— დაევალოს სამსჯავროს,
რომ ეს დაგვიანება
კარგად გამოიძიოს
და დაადოს სასჯელი!—
აქ სამსჯავრომ იმსჯელა,
ჰოდა, ზარმაცს, დარჩენილს
ჩამოართვა რაც ეცვა
სამოსი და ახალი
აღარ მისცა... ფრთოსნებმა
მორთეს სიცილ-ხარხარი...
როცა ნახეს ღამურა
სამარცხვინო, შიშველი,
უთხრეს:—აბა, რა გიყოთ,
ვერავინ ვერ გიშველის,
ისევ უნდა შენსავე
თავსვე უსაყვედურო,
ზარმაცი და მძინარა
სხვას ვის უნდა ემდურო?
კრინტიც არსად არ დასძრა,
რას გარგია ხმაური?!
ეგ სიშიშვლე შენივე
არის დანაშაული!
შენი სიზარმაცის და
შენი ძილის ბრალია,
ამდენ ხანს რომ გეძინა,
რას ფიქრობდი, ძამია?!—
წინათ ყველგან რომ ქროდა,
ჯიქურ, ნიავ-ქარუღად,—
დღისით გარეთ ვერ ფრინავს
იმის შემდეგ ღამურა.
ღამისფერმა სიშავემ
დაუკარგა მშვენება,
მიტომ დღისით სირცხვილით
ვერვის ვერ ეჩვენება.

სიცხვილი

აკაკი გეწაძე

მწყემსებმა ნახირი მთის ფერდობზე შერეკეს თუ არა, რიკ-ტაფელას თამაში გააჩაღეს. ვიდრე მზე ულრუბლო ცაზე შეიმაღლებდა, ოფლგადამსკდარნი დასდევდნენ ტაფელათი გატყორცნილ რიკს, მაგრამ თანდათან იძალა სიცხემ და

მათაც თამაში მიატოვეს; ძროხები მზისგულიდან ტყეში შერეკეს.

ტყისპირას მანდვრისკენ დაწმენდილი მდინარის ტოტი—ხეორის წყალი მოიმღეროდა. ბიჭებმა საბანაოდ მაშინვე იმ ცივ და კრიალა წყალს მიაშურეს.

მდინარის ტოტში ლიფსიტები ერთმანეთს დასდევდნენ, ცელქობდნენ, თამაშობდნენ. უცებ, თითქოს წყალი მოსრიალე ცისარტყელამ გაანათაო, წამით გაიელვა მოზრდილმა კალმახმა და ჯილეს შეეფარა. ბიჭებს მისკენ გაექცათ თვალი, ვაჟამ აღტაცება ვერ დამალა:

— ბიჭებო, ნახეთ, რა ლამაზია კალმახიანი წყალი!

მწყემსები ის-ის იყო საგანგებოდ დაგუბებულ მორევში უნდა შეცურებულიყვნენ, რომ გივიმ წამოიძახა:

— მოდით, ვიკალმახოთ, დავშქეროთ მდინარე!

— მერედა, დაშქერვა ვინ იცის?—ჰკითხა ვაჟამ.

— რა დიდი ცოდნა მაგას უნდა,—ხელი აგდებულად აიქნია გივიმ,—შქერის ნოშო უნდა დავნაყოთ ქვით, მერე დანაყილი ფოთოლი ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა ზემოთ წყალში ჩაყაროს, დანარჩენები კი დაშქერილ მდინარეს აქ დავუხვდებით, იცით, რა დაემართება თევზს?.. გაბრუვდება, ამოტივტივდება და დაჭერის მეტი ალარაფერია საჭირო.

გივის სიტყვა ჭკუაში დაუჯდათ მწყემსებს. მაშინვე შეუდგნენ საქმეს. მდინარეში ჩაყრილმა შქერის დაჩეჩქვილმა ფოთოლმა მოწამლა წყალი. ზვირთებში წამოტივტივდა გულაღმა ამობრუნებული კალმახი და, მერე რამდენი!

ბიჭები სიხარულით ცას ეწივნენ. უმალვე მაისურებს კალთები ძეწნის წკეპლებით წაუკრეს, სახელურებში წნელი გაუყარეს და სახელდახელოდ გაკეთებული ბადეებით შეუდგნენ თევზის ჭერას.

ხეორის წყლის ჩხრიალს ბავშვების გაძახილ-გამოძახილი შეერია:

— არიქა, ბიჭო! ჰე, წყალმა არ წაიღოს, თო-

რემ ვეღარ დაეწევი!

— უჰ, შენი გულისა, შეხედეთ, რა ხვათქუნა კალმახია!

— მიდი, მიჰყე, გაეკიდე!..

საღამოს მწყემსებმა შინ ბლომად მიიტანეს კალმახი.

გათამამებულებმა მეორე დილას ისევ მიაშურეს ხეორისწყალს, ისევ დაჩეჩქვეს მწვანე შქერის ნოშო და ჩაყარეს წყალში, ისევ გააკეთეს წითელი მაისურების ბადეები და ჩადგნენ ზვირთებში.

დიდხანს იდგნენ ასე, მაგრამ ერთი კალმახიც აღარ ამოტივტივდა.

— რა მოხდა?!—იკითხა სახტად დარჩენილმა გივიმ.

— ბიჭებო, ეტყობა, წყალში ერთი ლიფსიტაც აღარაა!—წამოიძახა ვაჟამ და გაკვირვებულმა მხრები აიჩეჩა,—გუშინ რა ლამაზი იყო კალმახით სავსე მდინარე!

მგლოვიარეს ჰგავდა ხეორის წყალი, ლურჯად აღარ ლივლივებდნენ მისი ტალღები. წითლად დაფორეჯებულ კალმახთა თვალწარმტაცი ციმარტყელები აღარ ელავდნენ მის მორევში. ვაჟას მოეჩვენა, რომ აქამდე მხიარულად მოჩხრიალე ხეორის წყალს ხმაში სევდა შეჰპარვოდა. თავის უბეში გაზრდილი შვილების—კალმახების დაკარგვას დარდობდა ალბათ. დანაღვლიანებულმა ბიჭმა გვერდზე მიიხედა და მეფუტკრე—ლაზარე დაინახა.

ლაზარემ წარბშეკვრით ახედ-დახედა მოთევზავე ბიჭებს.

ვაჟამ უხერხულობა იგრძნო, სალმის თქმაც კი ვეღარ მოახერხა. სხვებიც მაშინვე მიხვდნენ, რომ ლაზარე კარგი ამბის სათქმელად არ იყო მოსული.

მეფუტკრემ რატომღაც მხოლოდ ვაჟას ჰკითხა:

— გუშინ შქერი თქვენ ჩაყარეთ?—ვაჟა უსიამოვნოდ შეიშმუშნა,—ჰოდა, ამ წყალში ახლა რაღას ეძებთ? შქერის დანაყილი ფოთოლი რამდენიმე წლით სპობს თევზს. ვერ გიქნიათ კარგი ამბავი, თქვე ვაიმებადურებო. თევზი მარტო სუფრას კი არ ამშვენებს, უპირველეს ყოვლისა წყლის მშვენებაა... თქვენ კი მოგისპიათ ეს მშვენიერება.

მთის ცივ წყალში მუხლამდე მდგარ მხრებაწურულ ბიჭებს ჯერ გაოცება და შიში გამოეხატათ სახეზე, მერე სირცხვილის ხვითქი გადასკდათ. თავები ჩაჰკიდეს და აღარ იცოდნენ—სად დაემალათ ათრთოლებულ ხელებში შერჩენილი მაისურებისაგან სახელდახელოდ გაკეთებული წითელი ბადეები.

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა

შალვა შუგლაძე

თავისი დრო
იცის დრომა,
კარზე მოდგა
შემოდგომა.
ამ დროს საქმეს
რა გამოლევს,
თუკი გულმა
მოინდომა.
ჭატარებმაც
არ ისურვეს
უქმად ჯდომა,
უქმად სტომა.
დიდებს მხარში
ამოუდგნენ,
გახალისდა
უფრო შრომა.

გამოცანა

მისი სახელი შედგება
ორი ცხოველის სახელით.
ვინ გამოიცნობს რა ჰქვია,
ვინ არის მისი მნახველი?..

როსტომ ელანიძე

თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები ბალახის მჭამელი ცხოველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ: „ქართული ენა."

შეადგინა ქ. თბილისის მე-100 საშ. სკ. მოსწავლემ **ლევან ბადრიძემ.**

ფისო და მურია

ლეილა ერაძე

— მოდი, ერთად ვითამაშოთ,
ჩემო კარგო ფისუნი! —
ფისოს შესთხოვს მურიკელა
სასიკეთოდ მისული
და თან კუდის ქიცინით
და ფერება—ლაქუცით
იმ ხეს უვლის, აფხორილი
ფისო რომ ასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი

ვასილ სიმონია

ბრჭყალბასრი და ჭრელი—
თვალბრიალა კატა,
ზუსტად—ვეფხვის მსგავსი,
ზურამ დამიხატა.
დაბღვერილი, ავი,
კუდი—ოდნავ გრძელი.
ზურა ამბობს:—რა ვქნა,
მეტი ვერ შევძელი.

მშიშარა

გაახარებს დედას
თუკი ოთახს დაგვის,
მაგრამ რა ქნას ლიამ,
ეშინია თაგვის.

მწიფობისთვე

ტაგუ მეგურიშვილი

მწიფობისთვე დაიწყო,
ჩაიარა ზაფხულმა,
შეითვალა ძელშავი,
რქაწითელი,
კრახუნა.
ვაზი მტევნის სიმძიმემ
ლამის წელში გალუნა
და ვენახში სიარულს
მოუხშირა კახუნამ.

სოკოზე

თემურ შიმშილაშვილი

— ვაი, დაგვაგვიანდა,
გაიღვიძე, გოგო,
მანანას და ლიას
უკვე მოაქვთ სოკო!

რებუსი

შეადგინა ოტობაიას საშ. სკ. მოსწავლემ ინდირა ზანთარაიამ.

6/869/148

ეროვნული ბიბლიოთეკა
760155

ნახატი **მიხეილ სოლოვიოვისა**

დაიჭირა თუ არა ძია ცხრაკლიბულამ თევზი?

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჩავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/მგ. მდივანი), ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი). იორამ ქემერტელიძე, რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი ედუარდ ამბოკაძისა. გამოცემის 51-ე წელი.

ტექრედაქტორი **ენდი ჭარეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 15/VI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-78 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურცე. 2,5, ტირაჟი 158.000. შეკვ. № 1754. „Дила" № 9. на грузинском языке. ფასი 20 კაპ